



Newsletter

December 2009
№10

რამდენად არის ასახული ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი კორპორაციული სამართლის მარეგულირებელი თორმეტი დირექტივა საქართველოს კანონმდებლობაში

ევროკავშირში დღეისათვის არსებობს საკორპორაციო სამართლის მარეგულირებელი თორმეტი მოქმედი დირექტივა და ერთი დირექტივის პროექტი, რომელიც არ შესულა ძალაში.

დირექტივების საფუძველზე ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახორციელებენ ცვლილებებს მათ კანონმდებლობაში და ასახავენ შესაბამისი დირექტივების ნორმებს. თავდაპირველად, დირექტივების მიღების მიზანს ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი საკორპორაციო სამართლის მიმსგავსება და ჰარმონიზაცია წარმოადგენდა. თუმცა, პირველი დირექტივის შემდეგ ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო განსხვავებული ქვეყნების კანონმდებლობის ერთმანეთისადმი სრული მიმსგავსება. შესაბამისად, კომპრომისის მიღწევა განხორციელდა მინიმუმი სტანდარტების დაწესებით. კერძოდ, დირექტივები მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს აღგენენ, ხოლო მათი გამკაცრება წევრი ქვეყნების გადასაწყვეტი რჩება.

პირველი დირექტივა, გამოცემულ იქნა 1968 წელს და მოიცავდა დეტალურ ნორმებს კომპანიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. მას მოჰყვა დანარჩენი 11 დირექტივა. აღნიშნული დირექტივები არის შემდეგი:

- 1) კომპანიის შესახებ ძირითადი ინფორმაციის საჯაროობა;
- 2) რეგისტრაციამდე და მის შემდეგ კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების რეგულირება;
- 3) გადახდისუნარობის რეგულირება;
- 4) კომპანიების შერწყმა და მეთოდები;
- 5) წლიური ანგარიში;
- 6) ერთობლივი წლიური ანგარიშები;
- 7) კომპანიათა გაყოფა;
- 8) აუდიტი;
- 9) საერთაშორისო შერწყმა;
- 10) ფილიალები;
- 11) ერთი პარტნიორის საკუთრებაში არსებული კომპანია;
- 12) ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები;

საინტერესოა თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს საქართველოს კანონმდებ-

ბლობას, კერძოდ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონსა და ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის მარეგულირებელ ზემოაღნიშნულ თორმეტ დირექტივას შორის, რომლის ძირითად მიზანსაც განსხვავებული ქვეყნების კანონმდებლობის ერთმანეთისადმი მიმსგავსება და ჰარმონიზაცია წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” ფაქტობრივად ითვალისწინებს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც დადგენილია აღნიშნული დირექტივების მიერ. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავებებიც.

რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დირექტივებით დადგენილ მოთხოვნებს. მაგალითად, როგორც არის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონით აღარ არის დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა, ანუ იმისათვის, რომ საქართველოში ჩამოვაყალიბოთ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების სამართლებრივი ფორმა, არ არის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი. აღნიშნული გათვალისწინებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 51-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. რაც შეეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, არსებობს განსხვავებები მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით. მაგალითად დიდ ბრიტანეთს საერთოდ არა აქვს მინიმალური საწესდებო კაპიტალი, თუმცა სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში, შესაძლოა შეიზღუდოს მათი საქმიანობა, თუ არ არსებობს მინიმალური კაპიტალი. რაც, შეეხება საფრანგეთს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების დაფუძნებისათვის აუცილებელია მინიმალური კაპიტალი. საფრანგეთის მსგავსად, გერმანიაშიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისათვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი (ასევე განსაზღვრულია ერთი წილის მინიმალური ფასი).

მეორე საკითხი არის ერთობლივი წლიური ანგარიში. საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ერთობლივ წლიურ ანგარიშს, თუმცა ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის მარეგულირებელი დირექტივების მსგავსად ითვალისწინებს წლიური ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას. აგრეთვე, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საერთაშორისო შეწყობის საკითხებს. დღეისათვის მოქმედი საკორპორაციო სამართლის მიხედვით, ქართულ საწარმოებს არ ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ საერთაშორისო შერწყმა. აღნიშნული უკავშირდება საქართველოში თავად საკორპორაციო სამართლის განვითარების დონეს.

განსხვავებებია აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობაში ბირჟასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს დირექტივით გათვალისწინებულ ბირჟასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები, რომელიც აღნიშ-

ნულია ევროკავშირის სამართლის მარეგულირებელ უახლეს 2007 წლის დირექტივაში, არ წესრიგდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით. აღნიშნულის რეგულირება ხდება სპეციალური კანონით, რომელიც ეხება საბირჟო საქმიანობებს.

ეს ის ძირითადი განსხვავებებია, რომელიც არსებობს საქართველოს კანონსა და ევროკავშირის დირექტივებს შორის. დანარჩენ საკითხებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი არეგულირებს დირექტივების მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით და რა თქმა უნდა უფრო ფართო რეგულირებით. კერძოდ:

პირველი 3 დირექტივა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. კომპანიის ძირითადი დოკუმენტებისა და კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საჯაროობის აუცილებლობა;
2. კომპანიის სახელით აღებული ვალდებულებების რეგულირება;
3. კომპანიის გადახდისუნარიობის საკითხი.

აღნიშნული დირექტივა ასახულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-4, მე-5 და მე-9 მუხლში, რომლის თანახმადაც, სამეწარმეო რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს და საწარმოს მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე. გარდა ამისა, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. შესაბამისად, აღნიშნული მუხლების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია საწარმოს პარტნიორების, მათი წილობრივი მონაწილეობის, წილობრივი მონაწილეობის ცვლილებების შესახებ აღირიცხება სამეწარმეო რეესტრში, რომელიც შემდგომ ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მასში აღრიცხულ მონაცემებს.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამეწარმეო ამხანაგობა და ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ხოლო დირექტივის მიხედვით, თუ დირექტორმა რეგისტრაციის შემდეგ აღიარა მანამდე ნაკისრი ვალდებულებები იგი შეიძლება აანაზღაუროს კომპანიამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ანაზღაურებს დირექტორი პერსონალურად.

მესამე დირექტივა, რომელიც ეხება გადახდისუნარიობის რეგულირებას, მოწესრიგებულია

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 და მე-14 მუხლებით. ამ მუხლების თანახმად, თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან მისი საშიშროების წინაშე დგას იგი ვალდებულია გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღისა განაცხადოს ამის შესახებ “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად, კი შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორი უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს ნაკისრ ვალდებულებათა გადახე ადრე შესრულება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის დარეგულირება საქართველოში ხდება დირექტივის მსგავსად, რადგან დირექტივაც ითვალისწინებს კრედიტორის მიერ გადახე ადრე ვალების აქსელერაციის მოთხოვნის უფლებას.

მეოთხე დირექტივა არეგულირებს, კომპანიების შერწყმას, რომლის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის კოორდინაცია, ასევე აქციონერების და კრედიტორების დაცვა. მოცემული საკითხს საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” აწესრიგებს მე-14 მუხლით. მოცემული მუხლი, დირექტივის მსგავსად, მოიცავს შერწყმის ორ გზას: შერწყმა შესყიდვის შედეგად და შერწყმა ახალი კომპანიის ჩამოყალიბებით. დირექტივის თანახმად, ორივე სახის შერწყმის ოპერაციებისთვის არსებობს საპროცედურო მოთხოვნები, მაგალითად წინასწარი გამოქვეყნების, კრედიტორთა დაკმაყოფილების და ა.შ. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს შერწყმის შესახებ, მათ ეკისრებათ ვალდებულება ამის შესახებ 14 დღის განმავლობაში გამოაქვეყნონ ბეჭდვით ორგანოში და ამავე დროს წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს საგადასახადო ორგანოს და საწარმოს ცნობილ კრედიტორებს. ეს მუხლი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაცულ იქნეს კრედიტორთა ინტერესები.

მეხუთე დირექტივა არეგულირებს წლიური ანგარიშების მომზადებას, წარდგენას, შეფასების მეთოდებსა და ამ დოკუმენტების გამოქვეყნებას. აღნიშნული დირექტივა ასახულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის რამდენიმე მუხლში, კერძოდ მე-3, 57-ე და 63-ე მუხლის მე-10 პუნქტებში. კანონის 57-ე მუხლი აღნიშნავს, რომ დირექტორი ადგენს წლიურ ანგარიშს. აგრეთვე, 63-ე მუხლში ნათქვამია, რომ წლიურ ბალანს ამტკიცებს საერთო კრება და იღებს გადაწყვეტილებებს წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისების დაფარვის თაობაზე. აგრეთვე ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებს. ხოლო კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი აღნიშნავს, რომ ყველა პარტნიორს აქვს უფლება მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია.

მექვსე დირექტივას წარმოადგენს ერთობლივი წლიური ანგარიშები. აღნიშნული საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ არ არის დარეგულირებული საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისად, ეს უკანასკნელი არც არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

მეშვიდე დირექტივა არეგულირებს გაყოფის პროცედურას. ამ საკითხს, მსგავსად დირექტივი-

სა არეგულირებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე”. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს გაყოფის დაწყების შესახებ 14 დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში და ამის თაობაზე წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს საგადასახადო ორგანოს და საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის. ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაცულ იქნას კრედიტორთა ინტერესები, ისევე როგორც შერწყმის დროს.

მერვე დირექტივა არეგულირებს სავალდებულო აუდიტის საკითხებს. განსაზღვრავს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების კვალიფიკაციას, რომელთაც ენიჭებათ კორპორატიული აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება.

სავალდებულო აუდიტი აუცილებელი ხდება კომპანიის წლიური ანგარიშების/საბუღალტრო ბალანსის წარდგენის პროცესში. ამ საკითხსს არეგულირებს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც მითითებას აკეთებს სპეციალურ კანონზე “ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” და ამასთან აწესებს სავალდებულო აუდიტორიული შემოწმების ჩატარებას იმ საწარმოებისათვის, რომლებშიც პარტნიორთა რაოდენობა აღემატება 100-ს.

მეათე დირექტივა არეგულირებს კომპანიის ფილიალების გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ევროკავშირში შესაძლებელია ერთმა კომპანიამ გახსნას რამოდენიმე ფილიალი სხვადასხვა წევრ ქვეყანაში აღიარებული დაფუძნების უფლების საფუძველზე. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით “საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, რომელიც არ არის იურიდიული პირი. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო. საწარმოს შეუძლია ფილიალის დაარსების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მარეგისტრირებელ ორგანოს ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია, სამეწარმეო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე.

დირექტივა ითვალისწინებს მინიმალურ მოთხოვნებს ფილიალების დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით. ”მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე მოიცავს მინიმალურ მოთხოვნებს დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით, რაც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის დარეგისტრირებისთვის. აღნიშნული საკითხი წესრიგდება კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმადაც, «

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები :

- ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ ;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.
- გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ამ კანონით დადგენილი მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

მეთერთმეტე დირექტივა ითვალისწინებს ერთი პარტნიორის საკუთრებაში არსებული კომპანიების რეგულირების საკითხებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პარტნიორი, ფიზიკური პირი, ფლობს კომპანიის წილის 100%-ს (სინგლე მემბერ ცომპანე). აღნიშნული მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში არ არის დეტალურად გაწერილი, რადგან ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ცნებას “ერთი პარტნიორის საკუთრებაში არსებული საწარმო”, თუმცა არც აღნიშნულის სრულიად გამორიცხვა შეიძლება, რადგან “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ შპს დააფუძნოს ერთმა პირმა, ანუ მისი 100 %-ის მფლობელი იყოს ერთი პირი. ეს კი შეიძლება იყოს იგივე, რაც არის “ერთი პარტნიორის საკუთრებაში არსებული საწარმო”.

მეთორმეტე დირექტივას წარმოადგენს კომპანიის სრული შესყიდვა ბირჟაზე, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს კომპანიის სრულ შესყიდვას ბირჟაზე, თუმცა « მეწარმეთა შესახებ » საქართველოს კანონი იცნობს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას და აქციათა სავალდებულო მიყიდვას. კერძოდ, 532 მუხლი ადგენს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აღნიშნავს, რომ თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს « ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ » საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით.

შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა დაადგინოს აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა

ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში. რაც შეეხება, აქციათა სავალდებულო მიყიდვას, იგი ასახულია « მეწარმეთა შესახებ » საქართველოს კანონის 534 მუხლში, რომლის მიხედვითაც « თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით. მიყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 1 თვისა ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ. რეესტრის მწარმოებელი პირი სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა. რეგისტრატორი აღგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართის და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით და მიყიდველის მიერ ამ მუხლის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე ყველა აქციას გადააფორმებს მიყიდველის სახელზე. რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მიყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მიყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

ბოლო მეთორმეტე დირექტივას წარმოადგენს ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული დირექტივა დღეისათვის წარმოადგენს უახლეს მათგანს, რომელიც გამოიცა 2007 წელს და არეგულირებს ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების აქციონერების უფლებებს და მოვალეობებს. ამჟამინდელი მდგომარეობით საქართველოში, მართალია, არსებობს ბირჟა, მაგრამ რეალურად მასში ორიოდ კომპანიაა და ბირჟა “მკვდარია”. ამრიგად, აღნიშნული დირექტივა არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ « მეწარმეთა შესახებ » საქართველოს კანონით ძირითადად დარეგულირებულია ის საკითხები, რომლებიც ევროკავშირის მიერ დადგენილი დირექტივებით არის მოცემული, თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ არსებობს გარკვეული საკითხებიც, რომლებიც არა არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით. ყოველივე აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს საკორპორაციო სამართალი ჯერ კიდევ განვითარების გზაზეა და მასზე გარკვეულწილად ახდენს გავლენას ქვეყანაში არსებული ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა.

სალომე სართანია

გამოყენებული ლიტერატურა :

- 1) « მეწარმეთა შესახებ » საქართველოს კანონი
- 2) http://ec.europa.eu/internal_market/company/official/index_en.htm#directives